მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №4

ქ. მარტვილი 11 თებერვალი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე დამთავრდა 16:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ვახტანგ კეკელია, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი.
ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი როლანდ წულაია.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.
დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე,
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.
/მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის განკარგულება №17 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-როლანდ წულაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ:41.09.34.395 მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ, ფართობი 7456 კვ.მ.) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, ს.კ:41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

7. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე;

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

8. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პირის მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიში.

/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი როლანდ წულაიას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით

გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მიერ ინიცირებულ ,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის დანართის მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში დაფიქსირდა ხარვეზი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) მოქალაქე (გარდა სრულწლოვანი დევნილისა), რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩა და მარტოხელა დედის შემთხვევაში–ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ოჯახის თითოეულ წევრზე (ბენეფიციარის და მისი ოჯახის წევრების) საკუთრებაში არ უნდა ფიქსირდებოდეს უძრავი ქონება“.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ დასვა კითხვა, რომ დღეის მდგომარეობით მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდი სამამულო ომის რამდენი ვეტერანია აღრიცხვაზე და ასევე უკმაყოფილება გამოთქვა სოციალური დახმარების გაცემის წესში სარიტუალო თანხების გაცემის წესზე, ვინაიდან მერის წარმომადგენელს უხდება აღნიშნულზე პასუხისმგებლობის აღება რაც უხერხულობას ქმნის.

არნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსმა როლანდ წულაიამ უპასუხა, რომ დღეის მდგომარეობით მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდი სამამულო ომის არცერთი ვეტერანი არ იმყოფება აღრიცხვაზე, ხოლო რაც შეეხება შეჭივებულთა სარიტუალო მომსახურების თანხას, აღნიშნული მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში გაზრდილია 150 ლარიდან დაახლოებით 400 ლარამდე, აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ნაწილობრივ გადადის მერის წარმიმადგენლებზე.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის დადგენილება № 2 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/ ბონდო თოფურიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 2022 წლის პირველი იანვრისთვის მარტვილის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული გარდამავალი თავისუფალი ნაშტით

1414200 ლარით და საკრებულოს წევრებს გააცნო თუ რა დანიშნულებით იქნება მიმართული აღნიშნული თანხები, კერძოდ გაიზრდება:
–მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების ხარჯები 25000 ლარით.
–გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 39100 ლარით.
–ხიდ ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის არაფინანსური ხარჯები 48000 ლარით.
–შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქციის სხვა ხარჯები 100000 ლარით.
–გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 27100 ლარით.
–პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა 85000 ლარით.
–საპროექტო–სახარჯთააღრიცხვო, ექსპერტიზის და ზედამხედველობის ხარჯები 70000 ლარით.
–გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 22000 ლარით(ამწე კალათის მომსახურეობა).
–სპორტული მოედნების მოწყობა 40000 ლარით.
–სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა რეაბილიტაციის ხარჯები 145700 ლარით.
–სპორტული სკოლის სუბსიდიის ხარჯები 4000 ლარით.
–საფეხბურთო სკოლის სუბსიდიის ხარჯები 4000 ლარით.
–კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრის დაფინანსების სუბსიდიის ხარჯები 64100 ლარით.
–მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდიის ხარჯები44000 ლარით.
–საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 12100 ლარით.
–სარიტუალო მომსახურეობა (ომის ვეტერანთა და უკიდურესად შეჭირვებულთა დაკრძალვის ხარჯები) 8000 ლარი.
–მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 17600 ლარით.
–არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯები 60000 ლარით(მიკრო ავტობუსის შეძენა)

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აზრი გამოთქვეს: მამუკა დანელიამ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ ხარჯები რომლიც ბიუჯეტში გათვალისწინებულია სცენის შესაძენად, ხომ არ ჯობდა აღნიშნული თანხა გამოეყენებინათ სატრანსპორტო საშუალების, კერძოდ ამწე კალათის შესაძენად და სცენა კი დაექირავებიათ საჭიროებისდა მიხედვით. რაზეც ლევან სურმავამ უპასუხა, რომ სცენის შეძენით მუნიციპალიტეტი უფრო მოგებული დარჩება ვიდრე დაქირავებით და მისი სწორად ექსპლუატაციის შემთხვევაში სცენის მრავალი წლის მანძილზე გამოყენება იქნება შესაძლებელი, ხოლო რაც შეეხება ამწე კალათას აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დაქირავება არ არის დიდ თანხებთან დაკავშირებული და ასეთ შემთხვევაში მისი დაქირავება უფროა გამართლებული ვიდრე ყიდვა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაციის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 23, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა1.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.
/,,„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის დადგენილება № 3 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ:41.09.34.395 მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ, ფართობი 7456 კვ.მ.) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.
მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 02 თებერვალს შემოსულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ ს.კ 41.09.34.395 მხარეთცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემა.
ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ნაკვეთს მუზეუმი ფლობს მისი დაარსების დღიდან და ის წარმოადგენს ვაზის ენდემური ძველკოლხური ჯიშებით განაშენიანებულ საკოლექციო ნაკვეთს, აღნიშნული მიწის ნაკვეთის ელექტრონულად რეგისტრაცია მოხდა 2021 წელს, აქედან გამომდინარე ვითხოვთ თქვენს თანხმობას, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ 41.09.34.395) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაციის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 23, წინააღმდეგი 0.
დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ:41.09.34.395 მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ, ფართობი 7456 კვ.მ.) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ:41.09.34.395 მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ, ფართობი 7456 კვ.მ.) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის განკარგულება №18 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, ს.კ:41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.
მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტსა და ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრს შორის რეგისტრირებული იყო უზუფრუქტის ხელშეკრულება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე ს.კ 41.09.04.094.01.508 ფართიდან 219.68 კვ.მ , აღნიშნული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და აქედან გამომდინარე ითხოვა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, ს.კ:41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა.
საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაციის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 23, წინააღმდეგი 0.
დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, ს.კ:41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.
/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან, ქ. მარტვილში თავისუფლების ქ. №10-ში მდებარე, ს.კ:41.09.04.094.01.508 არასაცხოვრებელი 219.68 კვ.მ. ფართის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით

(არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის განკარგულება №19 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 6: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.
მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.
აღნიშნული ობიექტების ვიზუალური დათვალიერება განხორციელდა პროექტორის მეშვეობით.
საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაციის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 21, წინააღმდეგი 0.
დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.
/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის განკარგულება №20 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 7: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე“.
მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დაგზავნილი იყო ფრაქციებსა და კომისიებში განსახილველად და საკრებულოს წევრებს დამატებით წარუდგინა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე განკარგულების პროექტი.
საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაევლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.
რეგისტრაციის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, **,,**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო

მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.
/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის განკარგულება № 21 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 8: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პირის მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიშითან დაკავშირებით, რომელიც საკრებულომ მიიღო ცნობად.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა